დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესს და პირობებს. პროცედურის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს, როგორც საქართველოს კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, ასევე უნივერსიტეტის წესდებით, უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ მედიცინის ფაკულტეტის წესდებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და უნივერსიტეტის სხვა შიდა აქტებით.

1.საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დაგემვა

1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს აკადემიური საზოგადოების წევრის (წევრთა), უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვის და განვითარების სამსახურის, მიერ, სამედიცინო განათლების ცენტრის (სგც), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, საინიციატივო ჯგუფის მიერ, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სხვდასხვა კვლევის შედეგების გათვალისწინებით (შრომის ბაზარი, დამსაქმებელი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები).

1.2 ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა, ერთობლივი და/ან გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სურვილი, ერთობლივი პროექტის ფარგლებში პროგრამის შემუშავების შესაძლებლობა.

1.3 პროგრამის შემუშავების დაგეგმისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნები/უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები/გარე პარტნიორებთან კონსულტაციები (უკუკავშირი)/ დარგის სფეციფიკა/ საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა, სათანადო ბიუჯეტი.

1.4 დტსუ-ში ახალი პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების პროცედურა ითვალისწინებს და ეფუძვნება დტსუ-ში პროგრამების დაგეგმვის, შემუშვების და განვითარების პოლიტიკას (დანართი 29 - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმბის, შემუშავების და განვითარების პოლიტიკა).

1.5 პროგრამის შემუშავების და დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები სტუდენტები, საჭირო აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციას და უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტებისა და სტუდენტთა მხარდამჭერი სხვადასხვა სერვისის ხარისხს; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები, ფინანსური უზრუნველყოფა და სხვა.

1.6 შემუშავებული პროგრამა განსახილველად წარედგინება კურიკულუმის კომიტეტს; პროგრამას თან უნდა ახლდეს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმებით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა.

1.7 კურიკულუმის კომიტეტის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

1.8 აკადემიური საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილებისა და პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში პროგრამა წარედგინება მმართველ ჯგუფს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გარე შეფასებისა და აკრედიტაციის მიზნებისთვის შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

1.9 აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცებისა და მმართველი ჯგუფის მიერ წინასწარი ბიუჯეტის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამის შესაბამისი დოკუმენტები თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პროგრამული აკრედიტაციის მიზნებისთვის.

1.10 პროგრამულის აკრედიტაციის პროცედურების გავლის და პროგრამის აკრედიტაციის შესახებ აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისი გატაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ფაკულტეტი უფლებამოსილია აამოქმედოს საგანმანათლებლო პროგრამა.

2.საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

2.1 მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება იგეგმება/ტარდება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების და მისი განვითრების მიზნით. ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, მაგრამ არაუგვიანეს ერთ თვისა სემესტრის დაწყებამდე;

2.2 ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასებების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარებიდან და სხვა;

2.3 პროგრამაში გასახორციელებელი ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს სააკრედიტაციო ან პროგრამის მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამასთან დაკავშირებით;

2.4 პროგრამაში გასახორციელებელი ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს სამედიცინო განათლების ცენტრი (სგც), რომელიც მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამათა განვითარების მიზნით იძიებს განათლების (სამედიცინო განათლება) დარგში სამეცნიერო კვლევებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძვნებით არსებულ გამოცდილებას; მათი შესწავლის, ადაპტაციის შესაძლებლობისა და დტსუ პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილობის განსაზღვრისთვის;

2.5 კურიკულუმის განვითარების მიზნით სგც მჭიდროდ თანამშრომლობს ფაკულტეტსა და სასწავლო განყოფილებასთან, უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ჯგუფებსა, კომიტეტებსა და აკადემიური საზოგადოების წევრთა ჯგუფებთან;

2.6 პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავს ფაკულტეტის დეკანი, მოდულის/კურსი ხელმძღვანელი/ები, პროგრამაში ჩართულ პერსონალსა და სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სხვა დაინტერესებული პირებთან ერთად. მიღებული გადაწყვეტილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება კურიკულუმის კომიტეტს და შემდგომ აკადემიურ საბჭოს;

2.7 ცვლილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ეცნობება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ყველა იმ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული ცვლილების განხორციელებასთან;

2.8 პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები და მათზე მონიტორინგი აისახება პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების პერიოდულ ანგარიშებში და ინფორმაცია მიეწოდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

3.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს პროგრამის განხორციელების შეფასებისას გამოვლენილი სუსტი მხარეები და რისკ-ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსის სიმცირე, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა და სხვა;

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ინიცირება შესაძლოა განახორციელოს მმართველმა ჯგუფმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, რაც წარედგინება აკადემიურ საბჭოსა და კურიკულუმის კომიტეტს;

3.3 პროგრამის გაუქმების შესახებ მოსაზრება და არგუმენტები წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;

3.4 გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და იურიდიულ სამსახურებს, ყველა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით;

3.5 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღება ხდება სტუდენტთა ინტერესების დაცვის გარანტიის (იხ. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი) გათვალისწინებით.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

4.1 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

4.2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებზე, მათ აკადემიურ მომზადებაზე და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებულ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს;

4.3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელებისა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის შესაძლებლობას;

4.4 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც;

4.5 ინდივიდუალური სასწავლო გეგმას შეიმუშავებს, ყველა შესაბამისი სამსახურისა და პირის ჩართულობით, დეკანატი და ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.